ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

„რუსეთი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში“

კასრაძე ნანა

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე, პოლიტიკის

მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2019

ანოტაცია

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგენს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებების და ინტერესების, ქვეყნის წინაშე არსებული და შესაძლო საფრთხეების ამსახველ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ყალიბდება ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვა, სწორედ ამიტომ მას ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისას ფუძემდებლური მნიშვნელობა ენიჭება.

ნაშრომის მიზანია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესწავლის საფუძველზე დაადგინოს თუ რამდენად ადეკვატურად ასახავს ის, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს და რამდენად შესაბამის მიმართულებებს აყალიბებს ამ საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით.

დოკუმენტის მნიშვნელობიდან და იმ საკითხებიდან გამომდინარე, რომელსაც იგი მოიცავს დოკუმენტი აქტუალობას არასდროს დაკარგავს. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო აღნიშნულ დოკუმენტს იყენებს კომუნიკაციისთვის, როგორც საზოგადოებასთან ასევე სხვა ქვეყნებთან. ზოგადად კონცეფციის შექმნა რთულია ნებისმიერი ქვეყნისთვის, მაგრამ განსაკუთრებით რთულია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა და ისეთ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში როგორშიც ისაა, რადგან მისი უსაფრთხოების გარემო მყიფეა.

ნაშრომში განხილული იქნება ამ დოკუმენტის განვითარების ისტორია, რომელიც 90-იანი წლებიდან იწყება, შემდეგ 2005 წელს მიღებული კონცეფციის და ახალი 2011 წლის კონცეფციის შედარებითი ანალიზის საშუალებით ნაჩვენები იქნება, თუ როგორ იცვლებოდა ქვეყნის ხედვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, კონკრეტულად კი განხილული იქნება რუსეთის ფაქტორი ეროვნული უსაფრთხოების ხედვის ჩამოყალიბებაში.

კვლევისას გამოყენებული მეთოდების საშუალებით, როგორებიცაა პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზი, ექსპერტული ინტერვიუები, გამოვლინდა, რომ დოკუმენტი ვეღარ ასახავს უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებზე შესაბამის რეაგირების საშუალებებს ამიტომ ის საჭიროებს განახლებას.

Annotation

National security concept of Georgia represents the document of fundamental national values and interests, possible and existing threats on which basis the state security development view is established. Therefore, it has vital importance for elaboration of state security policy.

The aim of the work plan is to define the adequate impact on possible threats coming from Russia by studying Georgian National Security Concept and to establish the relevant approaches for prevention of these threats.

The document never loses its importance based on the importance of the document itself and the issues covered. It could be said that the state is using the above mentioned document for communication with the society and with other states as well.

Creation of concept in general is difficult for any state, but it is more difficult for small states such as Georgia having a Geopolitical location as its security environment is very volatile.
The history of development starting from 1990th, the adoption of concept in 2005 and the comparision of new 2011 concept analisys will be discussed in this work plan which shows the changes of state view in relation of security. More namely: The issue of Russia in the process of establishing national security view.

By means of studing methods such as primary and secondary source analisys, experimental interviews it became obvious that the document cannot reflect the relevant reaction on modern security challenges. Therefore, it needs to be renewed.

სარჩევი

შესავალი.....5

თავი I.....16

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციების შედარებითი ანალიზი 16

1.1 დოკუმენტის შექმნის ისტორია 16

2.2. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პირველი ვარიანტი.....19

1.3. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები (2005-2011) 21

თავი II.....28

რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები.....28

2.1 რუსული საგარეო უსაფრთხოების დოკუმენტების ანალიზი 28

2.2 თანამედროვე ომის საშუალებები 31

2.3. აზერბაიჯანის, სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები და რუსეთი 37

დასკვნა 39

დანართი 1. 42

გამოყენებული ლიტერატურა.....44

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნისთვის უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესია. როგორ ესმის ქვეყანას საკუთარი უსაფრთხოება, როგორ აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, როგორ განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ და მომავალ საფრთხეებს, რისკებს, რა არის მისთვის ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები და ინტერესები და ამ ყველაფრის გათვალისწინებით როგორ ქმნის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს მოცემულია დოკუმენტში „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია", რომლის მიზანია ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივი მიდგომების ინსტიტუციონალიზაცია.

რას ნიშნავს ეროვნული უსაფრთხოება? ტერმინის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ განმარტებას წარმოადგენს ერის, როგორც კულტურულ-პოლიტიკური ერთობის ყველა სასიცოცხლო პირობა, რომელიც მის არსებობას და განვითარებას უწყობს ხელს. ტრადიციულად, ეროვნული უსაფრთხოება აღიქმებოდა, როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და მისი შინაგანი სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ეროვნული უსაფრთხოების, როგორც პოლიტიკური ტერმინის ჩამოყალიბება და განმარტება, იმ ისტორიულ პერიოდს ემთხვევა როცა ტერიტორიული კონფლიქტები წარმოადგენდა უსაფრთხოების მთავარ პრობლემას მრავალი ქვეყნისთვის. უსაფრთხოების ძირითადი შინაარსი კი მისი, მოსახლეობის და ქვეყნის საარსებო სივრცის დაცვაში გამოიხატებოდა, რომელიც მაშინ იქნებოდა გარანტირებული თუ გარეშე მტრის თავდასხმა აცილებული იქნებოდა, შესაბამისად უსაფრთხოების პრობლემას ძირითადად ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერება წარმოადგენდა. დღეს უსაფრთხოება აღარ წარმოადგენს მხოლოდ, სამხედრო ძლიერების უზრუნველყოფას, მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და სხვადასხვა სფერო მოიცვა.

ასევე შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული უსაფრთხოება პირდაპირ უკავშირდება ნაციის გაგებას და იმას თუ ამ ორ საკითხს შორის როგორი კორელაცია არსებობს.

უსაფრთხოებაზე განსხვავებულ შეხედულებებს შორის კი ნაციონალური ინტერესების განსხვავებული პერსპექტივებიდან ხედვა წარმოადგენს.

ვოლტერ ლიპმანი, ცნობილი ამერიკელი მოაზროვნე, უსაფრთხოების მიღწევას ასე აღწერდა: „ნაციის, სახელმწიფოს არსებობა მაშინ არის დაცული, თუ მას არ უწევს ძირეული ფასეულობების დათმობა ომის თავიდან აცილების მიზნით და ამ გამოწვევის არსებობის შემთხვევაში, აქვს უნარი დაიცვას ფასეულობები ასეთ ომში გამარჯვებით“ (ანთაძე, 2013, გვ.4).

უსაფრთხოება როგორც ტერმინი სხვადასხვა ინტერპრეტაციით შეიძლება იყოს წარმოდგენილი და განმარტებული, მაგრამ ძირითადად ნებისმიერი ქვეყნისთვის უსაფრთხოება დაკავშირებულია მისი ძირითადი ფასეულობების დაცვასთან და იმ საფრთხეებთან რაც მათ ემუქრებათ.

რას გულისხმობს სახელმწიფოსთვის უსაფრთხოება, სწორედ ამაზე პასუხების გაცემას წარმოადგენს, ის თუ რა არის მისთვის ძირითადი ფუნდამენტური ფასეულობები და ღირებულებები და რა საფრთხე ემუქრება მათ, რა საშუალებების გამოყენება შეუძლია სახელმწიფოს საფრთხის თავიდან ასაცილებლად და ეროვნული ფასეულობების დასაცავად, ამ კითხვებზე პასუხი აყალიბებს ნაციონალური ინტერესების დეფინიციას ამა თუ იმ ქვეყნისთვის, რაც შემდგომ წარმოდგენილი იქნება ისეთ დოკუმენტში როგორიცაა ეროვნული უაფრთხოების კონცეფცია, რომლის საფუძველზეც იქმნება სტრატეგია.

დიდი ხნის განმავლობაში მსაგავსი სახის და შინაარსის მატარებელი დოკუმენტები საზოგადოებისთვის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებისთვის საიდუმლოს წარმოადგენდა, უსაფრთხოება ერთგვარი პროდუქტი იყო, რომლის მომხმარებელი და მწარმოებელიც იყო სახელმწიფო, სამხედრო სექტორი კი უსაფრთხოების მთავარი ავანსცენა (იურინი, 2016).

დღესაც სამხედრო სტრატეგიას ბოლომდე არავინ გვაჩვენებს და ეს ასეც უნდა იყოს, თუმცა ქვეყნის ძირითადი საფრთხეების და მათთან ბრძოლის ძირითადი საშუალების

შესახებ დოკუმენტები დღის სინათლეზე გამოდის, რომელთა მიზანია, ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივი მიდგომების ინსტიტუციონალიზაცია. დემოკრატიული ქვეყნებში ეს პროცესი ღიაა როგორც საკუთარი საზოგადოების, ისე გარე აუდიტორიისათვის. ეროვნული უსაფრთხოების და სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტების საკითხთა საზოგადოებისათვის ღია სამსჯავროზე გამოტანა რამდენიმე მიზეზით ხდება:

1. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც „დემოკრატიული მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების საორიენტაციო დოკუმენტი, რომელიც შექმნილია შიდა კონსენსუსის შესაქმნელად ქვეყნის საგარეო, თავდაცვის, დიპლომატიური, თუ ეკონომიკური სტრატეგიების შესახებ“ (R.D. Hooker, 2014, p.14).

2. ამ სტრატეგიებს შეუძლიათ დემოკრატიულ საზოგადოებაში საკანონმდებლო ორგანოს ინფორმირება, „თუ რა რესურსებს მოითხოვენ ისინი და ამით ხელი შეუწყონ მათი ფისკალურ უზრუნველყოფის სანქციონირებასა და ასიგნირებას.“ (Snider, 1995).

3. დოკუმენტებს გააჩნიათ ფუნქცია, წარმოადგენდნენ სტრატეგიული კომუნიკაციის ინსტრუმენტს საშინაო და საგარეო აუდიტორიისათვის. ეს აუდიენცია მოიცავს დემოკრატიული ქვეყნის როგორც ადგილობრივ კომპონენტებს, ასევე მიმართული შეიძლება იყოს საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი აქტორების მისამართით, რომელიც მოიაზრება აღნიშნული ქვეყნისათვის საფრთხის შემქმნელ სუბიექტად. (ანთაძე, 2013 გვ. 3-4)

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის არსებობა ხშირად აღმოჩნდა მნიშვნელოვანი საფრთხეების და გამოწვევების წინაშე, სულ ახლო წარსულშიც კი. ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მშვიდობიანი განვითარების და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, უსაფრთხოების საკითხები ყოველთვის წარმოადგენდა პატარა სახელმწიფოებისთვის დიდი თავსატეხს და გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა, ამიტომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის აქტუალური

იქნება ქვეყნისთვის, რომელსაც რთული გეოპოლიტიკური მდებარეობა და მტრულად განწყობილი მეზობელი ჰყავს.

რაც შეეხება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, როგორც დოკუმენტს, ეს არის ცენტრალური დოკუმენტი, რომლიდანაც გამომდინარეობს უწყებრივი სტრატეგიები, როგორებიცაა, სამხედრო, ტერორისტული, კიბერუსაფრთხოების და ა.შ.

უსაფრთხოების კონცეფციას შეიძლება ითქვას სტრატეგიის მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის, რადგან ჩვენ არ გვქონდა გამოცდილება სტრატეგიის შექმნის, ზოგადად ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ნებისმიერი ხელისუფლებისთვის წარმოადგენს ინსტრუქციას, თუ როგორ იმოქმედოს და არამარტო ხელისუფლებისთვის, არამედ სხვადასხვა უწყებებისთვის ეს არის მისი სამოქმედო გეგმის, მიზნების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელმა უწყებამ რა პოლიტიკა უნდა გაატაროს, რა არის მისთვის პრიორიტეტული, გაწერილია სწორედ ამ დოკუმენტში(თურმანიძე, 2019).

საქართველოსთვის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, როგორც პატარა გარდამავალი ქვეყნისთვის, არის ერთგვარი ფანჯარა, იმისთვის, რომ მან მოახდინოს, უსაფრთხოების პრობლემების ანალიზი, ისეთ მკაცრ და რთულ სამეზობლო გარემოში , როგორიც მას აქვს (მაკფარლეინი, 2012, გვ.3).

ჰიპოთეზა: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არასრულად ასახავს მიმდინარე საფრთხეებს, რაც განპირობებულია ხელისუფლების არასწორი ტაქტიკური მოსაზრებებით.

საკვლევი კითხვა: რამდენად განაპირობებს ხელისუფლების მიერ, უსაფრთხოების პრობლემების არასწორად განსაზღვრა, უსაფრთხოების კონცეფციაში საფრთხეებისა და გამოწვევების არარელევანტურობას?

დამოუკიდებელი ცვლადი: უსაფრთხოების პოლიტიკის არასწორი განსაზღვრა.

დამოკიდებული ცვლადი: უსაფრთხოების კონცეფციაში საფრთხეებისა და გამოწვევების არასრული წარმოჩენა.

ოპერაციონალიზაცია: ჩემი ჰიპოთეზა შედგება დამოუკიდებელი(უსაფრთხოების პოლიტიკის არასწორი განსაზღვრა) და დამოკიდებული (უსაფრთხოების კონცეფციაში საფრთხეებისა და გამოწვევების არასრული წარმოჩენა) ცვლადებისგან.

იმის გასაგებად თუ რამდენად სწორადაა უსაფრთხოების პოლიტიკა დოკუმენტში განსაზღვრული აუცილებელია შემდეგი ინდიკატორების შესწავლა:

- დოკუმენტში მოცემული საფრთხეების ანალიზი
- ამ საფრთხეების მიმართ განსაზღვრული მიმართულებების ანალიზი

არის თუ არა ზემოთ ჩამოთვლილ ინდიკატორებს შორის შეუსაბამობა შეიძლება გაიზომოს:

- რამდენად ეფექტურია დოკუმენტში განსაზღვრული მიმართულებები.
- რა შემაფერხებელი ფაქტორები უშლის ხელს(თუ უშლის) მის ეფექტურობას

მოცემული ნაშრომის **ანალიზის ერთეულს** წარმოადგენს მთავრობის უსაფრთხოების საკითხებში არსებულ პოლიტიკასა და რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს შორის შესაბამისობის დადგენა.

კვლევის მიზანია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესწავლის საფუძველზე დაადგინოს თუ რამდენად ადეკვატურად და სრულად ასახავს ის, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს და რამდენად შესაბამის მიმართულებებს აყალიბებს ამ საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით.

კვლევის ამოცანები:

- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ორივე კონცეფციის ანალიზი.
- რუსეთის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი.
- სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკის ანალიზი რუსეთთან მიმართებაში.
- აშშ-ს საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში.

- რუსული „რბილი ძალის“ შედეგების ანალიზი.
- საქართველოს და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობათა ანალიზი.

თეორიული ჩარჩო: საფრთხის წონასწორობის თეორია

ამერიკელ მეცნიერ სტეფან უოლტს უკავშირდება საფრთხის წონასწორობის თეორია, რომელიც მან ძალთა წონასწორობის თეორიის გადამოწმებით შექმნა (გვალია, 2013, გვ.33). ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფო კავშირში შედის იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც მას უქმნის საფრთხეს.

მაგალთად, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის წინააღმდეგ შეიქმნა კოალიცია, რომელიც მატერიალური შესაძლებლობებით აღემატებოდა გერმანიასა და მის მოკავშირეებს, მოხდა ისე, რომ ძალთა წონასწორობის თეორიამ ადგილი დაუთმო საფრთხის წონასწორობის თეორიას, რადგან გერმანიის სისუსტის მიუხედავად სხვა სახელმწიფოები მას საფრთხედ აღიქვამდნენ, ძალამ, როგორც გადამწყვეტმა ფაქტორმა, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა დაკარგა. სტეფან უოლტი მიხვდა, რომ საფრთხის ადეკვატურად გაზომვისთვის მხოლოდ ძლიერების ცვლადი საკმარისი არაა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია აგრესიული განზრახვებიც. აგრესიული, მაგრამ სუსტი ქვეყანა ნაკლები საფრთხეა ვიდრე აგრესიული და ძლიერი ქვეყანა. სახელმწიფოები, რომლებიც აგრესიულობით გამოირჩევიან, პოტენციურად უნდა დაბალანსდნენ სხვა სახელმწიფოებიდან. ასევე მნიშვნელოვანი ცვლადია გეოგრაფიული სიახლოვე.

აქედან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო კავშირში შედის სხვა ქვეყნებთან აუცილებლად არა ყველაზე ძლიერი სახელწიფოს დაბალანსების მიზნით, არამედ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც პოტენციურ საფრთხეს შეუქმნის მას. აგრესიული განცხადებები სახელწიფოს ლიდერებისგან, აგრესიული ქმედებები ეხმარება სახელმიფოს საფრთხის შეფასებაში. საფრთხის წყაროს დაბალანსების მიზნით, სახელმწიფომ შეიძლება კავშირის შეკრას სხვა სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოებთან (გვალია, 2013, გვ.41-42).

კვლევის მეთოდოლოგია: მოცემული კვლევა თვისებრივ მეთოდოლოგიას ეყრდნობა და ექსპერტული ინტერვიუების გამოყენებით ცდილობს, ნაშრომის ძირითადი დაშვების შემოწმებას. თვისებრივი მეთოდოლოგია საკითხის სიღრმისეული შესწავლისა და მისი სხვადასხვა ასპექტში გაანალიზების საშუალებას იძლევა. ასევე კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა:

- პირველადი წყაროების ანალიზი: საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების შესწავლა.
- მეორადი წყაროების ანალიზი: არსებული საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა. საკითხთან დაკავშირებული კვლეები,ასევე თეორიული სახის ლიტერატურა.

ლიტერატურის მიმოხილვა:

ნაშრომი ძირითადად აგებულია, როგორც ქართული ისე რუსული და ინგლისური ოფიციალური დოკუმენტების ანალიზზე, როგორებიცაა: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, სამხედრო დოქტრინა. ასევე ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოების ეროვნული კონცეფციები.

ასევე ალექსანდრე რონდელის წიგნი, რომელიც პატარა ქვეყნებს ეხება და მათ ადგილს საერთაშორისო სისტემაში. სუსტ და პატარა ქვეყნებს, ყოველთვის ჰქონდათ შეზღუდული შესაძლებლობები, მათთვის საერთაშორისო სიტემა ყოველთვის უფრო სახიფათო იყო ვიდრე ძლიერი ქვეყნებისთვის. ასეთი ქვეყნები, სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით საკუთარი გეოპოლიტიკის მორჩილნი არიან, რომლებსაც განსაკუთრებით მაშინ არ უმართლებთ თუ ძლიერი მეზობელი ჰყავთ და მათ მდებარეობას გარკვეული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება (რონდელი, 2003).

თუმცა საკამათოა ცნება პატარა და სუსტის მიმართება, რამდენად განაპირობებს ერთი მეორეს, მაგალითისთვის პატარა ქვეყანას ოლავ კნუტსენი ისეთ სახელმწიფოს უწოდებდა, რომლის ძლიერებაც თუნდაც ერთი მეზობლის ძლიერებას ჩამორჩებოდა.

ქვეყანას, რომელიც არც რეგიონული და მით უფრო არც მსოფლიო მასშტაბით არ შეუძლია თავისი პოლიტიკური ნების რეალობაში გატარება, ძალის პოლიტიკის მეშვეობით საკუთარი ინტერესების დაცვა პატარა და სუსტია (იგივე, გვ. 177).

პატარა ქვეყნების წარმოქმნის და არსებობის რამდენიმე განმაპირობებელ მიზეზს წარმოადგენს, დიდი ქვეყნების დაინტერესება მათი არსებობით, ძალთა წონასწორობის შესანარჩუნებლად, მეორე მიზეზი კი არის საერთაშორისო ურთიერთობებში, მსოფლიო ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გაზრდილი როლი, რამაც გააუმჯობესა პატარა და სუსტი ქვეყნების მდგომარეობა, ახალი ნორმების და ქცევის დამკვიდრების გამო (იგივე, გვ. 180).

პატარა სახელმწიფო თავის გადარჩენის მიზნით ხშირად ადგება ლავირების გზას, დიდი სახელმწიფოების მეტოქეობამ შესაძლოა პატარა სახელმწიფოს მისცეს გადარჩენის შანსი, თუ ეს დიდი სახელმწიფოები შეთანხმდებიან, მაგრამ მსგავსი პოლიტიკა დიდ დაკვირვებას მოითხოვს და მყისიერ რეაგირებას ცვლილებებზე, როცა სახელმწიფო დიდი ქვეყნების მოთხოვნების ერთმანეთთან დაპირისპირებას ახერხებს მით მეტია შანსი მიაღწიოს დათმობას ორივე მხრიდან და შეამციროს ზეწოლა.

საქართველო საუკუნეების განმავლობაში იყენებდა ამ პოლიტიკას ისეთი დიდი ქვეყნების წინააღმდეგ, როგორებიც იყვნენ ირანი და ოსმალეთი, შემდეგ ამას დაემატა რუსეთი. პატარა სახელმწიფოსთვის მიუმხრომლობის პოლიტიკა არ წარმოადგენს სიმშვიდის საფუძველს, ამას ამბობდა რონდელიც, რომ ასეთი ქვეყნებისთვის კოალიციები და მოკავშირეები აუცილებელია, პატარა ქვეყნის საზოგადოებაში შიში არსებობს დიდი მეტოქის, ამ დროს ქვეყანა ცდილობს გაზარდოს მისი სამხედრო შესაძლებლობები ან უფრო მეტად ეცადოს მეზობელი სახელმწიფოს დაშოშმინებას, აქ საინტერესოა ე.წ. მორალური ბარიერის არსებობა დიდ სახელმწიფოში როცა მას სჭირდება თავისი აგრესიული ქმედებების გამართლება განსაკუთრებით თანამედროვე

საერთაშორისო სისტემაში სადაც მსგავსი ფაქტები იგმობა და შეშფოთებას იწვევს (მაცაბერიძე, 1992).

დიდი სახელმწიფოები მიდრეკილნი არიან ძალადობრივი შეჭრისკენ, მათი ძალადობრივი ქმედებები შესაძლოა ორი მიზეზით განხორციელდეს, პირველი ისაა, რომ მათ სურთ არასასურველი ცვლილებების თავიდან აცილება, ხოლო მეორე მიზეზი ტერიტორიების დაუფლებაა.

მოსაზღვრეობის და სიახლოვის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში საკმაოდ დიდია, მოსაზღვრეობა ჩვეულებრივ ადვილად მისაწვდომობას ნიშნავს უახლოესი დიდი სახელმწიფოსთვის, ამ შემთხვევაში როგორც ზემოთ აღინიშნა დიდი როლს ტამაშობს საერთაშორისო გარემო, რომელიც დიდი სახელმწიფოსხშირად დათმობას აიძულებს, პატარა ქვეყანას ამ დროს შეუძლია საზოგადოების ერთიანობის შთაბეჭდილების შექმნით, ძლიერი ეკონომიკით და სწორედ მორალური დაბრკოლებებით წინ აღუდგეს დიდი ქვეყნის აგრესიას (კნუტსენი, 1991).

განვიხილოთ თუ რა როლს ანიჭებს პატარა სახელმწიფოებს საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე თეორიები, მაგალითად რეალიზმი, იგი დაფუძნებულია ძლიერების პრიმატზე. ეს თეორია პატარა და სუსტ ქვეყნებს მეორეხარისხოვან როლს ანიჭებს, თავისი ძლიერების შესაბამისად ქმნიან ქვეყნები იერარქიას ნეორეალიზმის თეორიის მიხედვითაც, აქედან გამომდინარეობს, რომ ასეთი სუსტი ქვეყნები დამოკიდებულნი არიან დიდი სახელმწიფოების ინტერესზე, და მათი სიცოცხლისუნარიანობაც ამაზეა დამოკიდებული. ძალიან ბევრი რამ მაინც დამოკიდებულია ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე, საერთაშორისო სიტემის ძლიერ ქვეყნებთან მიმართებით, განსაკუთრებით საშიში კი ძლიერი და აგრესიული მეზობელია, რაც საშუალებას არ აძლევს თავად განსაზღვროს საგარეო პოლიტიკა (რონდელი, 2003, გვ. 183).

რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში სუსტმა ქვეყანამ? თავის გადარჩენის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას კავშირები და მათში გაწევრიანება წარმოადგენს, ესაა ერთგვარი „ძალის სესხება“. თუმცა ეს მოსაზრებაც არაა ყველასთვის გამართლებული შეიძლება გაჩნდეს აზრი იმის შესახებ, რომ კავშირში ყოფნას სჯობს დამოუკიდებლად

დარჩენა, როგორც ნეიტრალური და მიუმხრობელი ქვეყანა, როცა მანევრირების შანსი მეტი გაქვს, თუმცა აღნიშნულს რონდელი არ ეთანხმება და საუკეთესო გამოსავალს სწორედ ალიანსებში ხედავს, რაც გააჯღერა კიდეც 1996 წლის კონფერენციაზე, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტის შექმნას ეძღვნებოდა.

პატარა ქვეყნებთან მიმართებაში ასევე შესაძლოა განხილული იქნას მიტმასნების და დაბალანსების სტრატეგიები, გავრცელებულია აზრი, რომ პატარა ქვეყნები უფრო მეტად მიტმასნების სტრატეგიას იყენებენ ვიდრე დაბალენსების, რაც გასაკვირი არცაა, რადგან პატარა სახელმწიფოებს არ შეუძლიათ თავიანთი პოლიტიკური წონიდან გამომდინარე დიდი ქვეყნების პოლიტიკა დააბალანსონ, მათი ძირითადი საშუალებაა რომელიმე დიდ ქვეყანასთან მიტმასენება დაცვის პირობით. (გვალია,2013)

ერთ-ერთი პირველი ვინც უსაფრთხოების კონცეფციის შესახებ ნაშრომი შექმნა ბარი ბუზანი იყო, უსაფრთხოების კვლევების ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომლის აზრითაც უსაფრთხოების განხილვა მხოლოდ ერთ სახელმწიფოსთან მიმართებაში დაუშვებელია.

არსებობს სამხედრო პოლიტიკური ბლოკები, საერთაშორიო და რეგიონალური ორგანიზაციები ამიტომ , მხოლოდ ნაციონალური სახელმწიფოები აღარ ადგენენ თამაშის წესებს. (იურინი, 2016).

ნაშრომში, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განვითარების შესწავლისთვის, გამოყენებულია 1996 წელს ჩატარებული საერთაშორისო კონერენციის მასალები, სადაც ქართველმა და უცხოელმა სპეციალისტებმა ერთად იმსჯელეს ეროვნული უსაფრთხოების საკვანძო პრობლემების შესახებ და საფუძველი ჩაუყარეს ამ დოკომენტის შექნმას.

ნაშრომში ასევე განხილულია 2005 და 2011 წელს მიღებულ კონცეფციებს შორის განსხვავებები. აქცენტი, რა თქმა უნდა, კეთდება რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე. ახალი კონცეფციის ძირითადი ნაკლოვანებები ჩამოყალიბებული აქვს ნილ მაკფარლეინს, - საქართველო: „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება“ , რომელიც ფიქრობს, რომ ამ დოკუმენტის ერთ-ერთი დიდი ნაკლი რუსთთან მიმართებაში არის ზედმეტი იმედები ნატოში გაწევრიანების შესახებ, რაზეც

გამოკითხულმა ექსპერტებმა განაცხადეს, რომ შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანება საუკეთესო გამოსავალია, იმის მიუხედავად, რომ ინტეგრაციის პროცესი გაჭიანურდა.

ასევე საინტერესო მასალა მოგვცა რუსული საგარეო დოკუმენტების შესწავლამ და იმ დოკუმენტებმაც, რომლებიც გაფორმებულია სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის 2014 წელს. რუსეთის სამხედრო დოქტრინა ყურადღებას ამახვილებს ჰიბრიდული ომის მახასიათებლებზე, რბილი ძალის მნიშვნელობაზე.

გერასიმოვის დოქტრინის მიხედვით, არასამხედრო მეთოდების როლი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისთვის გაიზარდა და მისი ეფექტურობდან გამომდინარე უფრო დიდი მნშვნელობა შეიძინა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჯოზეფ ნაი რბილ ძალას განმარტავს, როგორც სახელმწიფოს უნარსა და რესურსს შექმნას დადებითი დამოკიდებულებები კონკეტულ აქტორებზე. კულტურა, პოლიტიკური ღირებულებები, საგარეო პოლიტიკა არის ის ძირითადი კომპონენტები , რომლებსაც ეფუძნება რბილი ძალა.

თავი I

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციების შედარებითი ანალიზი

მოცემულ თავში მიმოხილულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციების ანალიზი, მათი შექმნის ისტორია, კონცეფციის პირველი ვარინტი და 2005-2011 მიღებული კონცეფციების ძირითადი მახასიათებლები. აღნიშნული თავი მიზნად ისახავს იმის ჩვენებას, თუ როგორ იცვლებოდა, კონცეფციის დოკუმენტზე დაყრდნობით, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა რუსეთის მიმართ.

1.1 დოკუმენტის შექმნის ისტორია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში დადგა საკითხი იმის, რომ ქვეყანას განესაზღვრა უსაფრთხოების პრიორიტეტები, ამ საკითხზე მუშაობა 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. 1996 წლის 23 აგვისტოს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულება, ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემმუშავებელი კომისიის შესახებ, (ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემმუშავებელი კომისიის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #551. 23 აგვისტო, 1996 წ.) რომელსაც ერთ თვეში უნდა წარედგინა სამუშაო გეგმა, შეექმნა ექსპერტთა ჯგუფი და ერთ წელიწადში შეექმნათ აღნიშნული დოკუმენტი.

კომისიამ პირველივე სხდომაზე განსაზღვრა, რომ კონცეფციაში მოცემული უნდა ყოფილიყო: საფრთხეები და მათი ხასიათი, ამ საფრთხეებზე რეაგირების საშუალებები და ქვეყნის პოტენციალი, უსაფრთხოების გარანტიების საერთაშორისო საშუალებანი. (ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემმუშავებელი კომისიის პირველის სხდომის დღის წესრიგი და გეგმა. 25 აგვისტო, 1996 წ.)

იმავე წელს გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, (დაფინანსება მოხდა ნატოს ინფორმაციისა და პრესის ოფისის და ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ.) რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შექმნას,

კონფერენციას ქართველ სპეციალისტებთან ერთად ესწრებოდნენ უცხოელი ექსპერტებიც, მონაწილეებმა იმსჯელეს ეროვნული უსაფრთხოების საკვანძო პრობლემების შესახებ.

კონფერენციაზე გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში და საზოგადოებაში უსაფრთხოებაზე ზრუნვა არ არის მხოლოდ ერთი უწყების საქმე. მასში ჩართული უნდა იყოს საზოგადოება, რომელსაც აქვს უფლება იცოდეს თუ როგორ აპირებს სახელმწიფო მის უსაფრთხოებაზე ზრუნვას (ნოდია,1996).

მეორე საკითხი რომელიც სემინარზე წამოიჭრა კონცეფციის არსის განსაზღვრას შეეხებოდა, იმის გააზრებას, რომ ეს არაა მხოლოდ სამხედრო საკითხთა ჩამონათვალი არამედ სოციალური დაცვა, ეკონომიკა, სამოქალაქო საზოგადოება, შინაგანი სტაბილურობა.

ამ საკითხს ეხმიანება დოქტორ ვოლფგანგ მანიგის, (აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური მრჩევლის თანაშემწე), აზრი, რომელმაც აღნიშნა, რომ უსაფრთხოების კონცეფცია ვერ შეიქმნება ექსპერტთა ვიწრო წრეში და აუცილებელი იყო სტრატეგიული საზოგადოებრიობის ჩამოყალიბება, (მანიგი,1996) რათა სამოქალაქო პირები გაერკვნენ სამხედრო საქმეში. ეს არაა ექსპერტების უბრალო ჯამი. სტრატეგიულ საზოგადოებრიობაში უნდა შედიოდნენ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, მეცნიერები.

საკმაოდ საინტერესო იდეა მიაწოდა კონფერენციის მონაწილეებს ჩარლზ ფერბენქსმა: (პროფესორი ჩარლზ ფერბენქსი, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი, ვაშინგტონი, აშშ) რომელმაც აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუ უფრო დიდი ყურადრება დაეთმობოდა კავკასიურ სახელმწფიფოებს რადგან მისი აზრით შესაძლებელი იყო კავკასიის ქვეყნების ერთობლივ ქმედებას რუსეთის გავლენა შეესუსტებინა. (ფერბენქსი,1996) რაზეც დავით დარჩიაშვილმა უპასუხა, და ვფიქრობ ძალიან კარგად ჩამოაყალიბა რუსეთის ფაქტორის მნიშვნელობა, „ქართული პოლიტიკური ცნობიერება ამოდის იქიდან, რომ ძირითადი საფრთხე მომდინარეობს რუსეთიდან, ხოლო უსაფრთხოების სისტემა გულისხმობს ამ წარმოსახვითი თუ რეალური საფრთხის წინააღმდეგ ღონისძიებების შემუშავებას. საქართველოს პოლიტიკური არჩევანი ამ საფრთხესთან

მიმართებაში ისაზღვრებოდა. ზოგჯერ ქართული პოლიტიკა იძენდა საფრთხისაგან გაქცევის მიზნით ამავე საფრთხისათვის კარის გაღების, ,,დაყვავების“ სახეს, მაგრამ ზოგჯერ ხდებოდა რუსეთის გავლენის გამანეიტრალებელი საშუალებების ძიებაც. შეიძლება გავიხსენოთ დსთ-ში შესვლა, ქართულ-რუსული ჯარის ფორმირებისაკენ გადადგმული ნაბიჯები, მცდელობა იმისა, რომ აფხაზეთი დაბრუნებული იქნას რუსული ხიშტებით. მაგრამ პარალელურად იდგმებოდა რუსეთისაგან რაღაც ალტერნატიული გარანტიების ძიების ნაბიჯებიც. ქართული პოლიტიკური ელიტა დღესაც რჩება გზის გასაყართან და დღესაც ვერ აურჩევია, თუ რა მეთოდით შეიძლება მის მიერ მთავარ საფრთხედ დანახული პრობლემების გადაჭრა. ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ დღესაც არ არსებობს საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია“ (დარჩიაშვილი, 1996).

რონდელმა ყველა პოსტ-საბჭოური ქვეყანა კვაზისახელმწიფოდ მონათლა, რომლისთვისაც ეროვნული უსაფრთხოება გაიგივებულია საკუთარი სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვასთან, რომლის უმთავრესი საზრუნავი შინაგანი უსაფრთხოებაა. შინაგანი დაუცველობაა სისუსტის მთავარი წყარო. არასტაბილური სახელმწიფო ინსტიტუტები განაპირობებენ შინაგან არეულობას და გარეშე ძალთა ჩარევას. იუგოსლავიის და ყოფილი საბჭოთა კავშირის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პატარა ქვეყნები უნდა იყვნენ მხოლოდ საერთაშორისო ნორმების იმედზე. მათ უნდა ეძებონ საკუთარი უსაფრთხოება ალიანსებსა და კოლექტიური უსაფრთხოების ფარგლებში (რონდელი,1996).

კონფერენციაზე განისაზღვრა ძირითადი საფრთხეები, პირველი ასეთი საფრთხე იყო უცხოური ბაზების არსებობა ქვეყნის ტერიტორიაზე, მეორე-ეროვნული კონსესუსისა და თვითშეგნების ნაკლებობა და ბოლოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საკითხი (ედვარდ როჯერსი,1996) (კაპიტანი ედვარდ როჯერსი, ამიერკავკასიის რეგიონული კოორდინატორი, ნატო-ს შტაბ-ბინა, ბრიუსელი, ბელგია).

კონფერენციის მონაწილეებმა ორი დღის განმავლობაში იმსჯელეს უსაფრთხოების პრობლემებზე, საქართველოსთვის მსგავსი დოკუმენტის შემუშავება სიახლეს წარმოადგენდა, თუმცა ამ კონფერენციამ საფუძველი ჩაუყარა დოკუმენტის შექმნას.

1..2. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პირველი ვარიანტი

1996 წელს, გ.ნოდიას რედაქტორობით შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ორი პროექტი, რომელსაც თითქმის იდენტური შინაარსი ჰქონდათ, მასში აისახა კონფერენციაზე გამოთქმული დებულებები უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში ინტერესის სფეროს წარმოადგენს ის ადგილები, რომლებიც უშუალოდ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს ეხებოდა და რომლებიც ნეგატიური რეალიების ფორმითაა გადმოცემული დოკუმენტში (ნოდია,1996):

● რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა დაძაბულობა. რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გატანის გაჭიანურება.

● რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე ხელოვნურად შექმნილი სეპარატისტული რეჟიმების სხვადასხვა ფორმითა და საშუალებებით მხარდაჭერა.

● ენერგეტიკული, სამხედრო და პოლიტიკური ბერკეტებით საქართველოს ხელისუფლებაზე რუსეთის ზეწოლა.

● ტერიტორიული მთლიანობის აღუდგენლობით გამოწვეული სახელმწიფო საზღვრების სრული და სრულყოფილი კონტროლის შეუძლებლობა. კონტრაბანდისა და არალეგალური მიგრაციის დაუშვებელი მასშტაბები.

● რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის შედეგად პანკისის ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილების დიდი ნაკადის შემოსვლით გამოწვეული კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება.

● ქვეყნის რეგიონებისა და საზღვრისპირა მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაბალი დონე. კოდორის, პანკისის ხეობისა და საზღვრისპირა რეგიონებში სამხედრო პროვოკაციის, საჰაერო საზღვრების დარღვევების პერმანენტული ხასიათი.

თუმცა იქვე ნახსენებია, რომ საქართველოს რუსეთთან მშვიდობიანი და კეთილმეზობლური თანაცხოვრების ტრადიციებიც აქვს. ამას მოყვება უშუალოდ საფრთხეები სადაც რუსეთი პირდაპირ დასახელებული არაა.

3.1.2. რეალური და პოტენციური საფრთხეები

● საქართველოს გეოპოლიტიკურ სივრცეში რეაქციული ძალის დომინირება.

● უცხო სახელმწიფოს მხრიდან, სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით, ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევა.

● საქართველოს საზღვრების ხელყოფა.

● ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის შეზღუდვა.

● აგრესიული სეპარატიზმი.

● საქართველოს საერთაშორისო დისკრედიტაცია.

● სახელმწიფოებრივი ტერორი.

აქვეა ამ საფრთხეების თავიდან აცილების პრიორიტეტული ამოცანები

● უშიშროების ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია.

● ნატოში გაწევრიანება.

● რუსეთთან კეთილმეზობლური და მრავალმხრივი ურთიერთობების დამყარება. ურთიერთნდობისა და ურთიერთპასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ხელშე-წყობა. ორი ქვეყნის გეოსტრატეგიული ინტერესების მაქსიმალური შეთავსებადობის პრინციპებისა და მექანიზმების უზრუნველყოფა ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის პრინციპის გათვალისწინებით.

1.3. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები (2005-2011)

ეროვნულ უსაფრთხოებასა და კონცეფციაზე დიდი ხნის მსჯელობის მიუხედავად, ამ დოკუმენტის მიღება შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში არ მოხდა და მხოლოდ 2005 წელს შეიქმნა, თუმცა 2008 წლის ომმა ეროვნულ უსაფრთხოებაზე დიდი გავლენა მოახდინა და საჭირო გახდა დოკუმენტის გადახედვა და განახლება რაც 2011 წელს მოხდა, ამ ორ დოკუმენტს შორის განსხვავებას სწორედ აგვისტოს ომი და ამის შემდგომი ურთიერთობის უფრო მეტი დაძაბვა წარმოადგენს რუსეთთან. ახალი კონცეფცია შეიძლება ითქვას მთლიანად აგებულია რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე და მასში ფართოდაა განხილული 2008 წლის ომი. რაც ალბათ გასაკვირი არაა თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კონცეფციის შექმნის აქტიური პერიოდი 2009-2010 წლები იყო, დოკუმენტის 2008 წლის ომთან ასე ახლოს შექმნამ განაპირობა მისი სიხისტე (თურმანიძე, 2019).

ორივე დოკუმენტი იწყება საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით, რომელსაც მოსდევს შესავალი, 2005 წლის დოკუმენტში განსაკუთრებულად აქვს ხაზი გასმული დამოუკიდებლობის მოპოვებას 1991 წელს, რასაც მოჰყვა პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის, გარე ძალების მიერ მხარდაჭერილი შიდა კონფლიქტების პერიოდი. ასევე 2003 წლის რევოლუციას და ქვეყნის ევროპულ არჩევანს (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2005. გვ.1).

2011 წლის კონცეფციის შესავალში ნათქვამია რომ ხელმეორედ გამოქვეყნებული დოკუმენტი ასახავს უსაფრთხოების გარემოში მომხდარ ცვლილებებს და მათ გავლენას, შემუშავებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ და წვლილი შეიტნეს სხვადასხვა პარტიებმა ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებმა. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა. (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011, გვ.3)

ახალ ვარიანტში შესავალს მოყვება თავი საქართველოს უსაფრთხოების გარემოს შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთის მიერ ღია სამხედრო აგრესია თანამედროვე მსოფლიოშიც რჩება პოლიტიკური ბრძოლის საშუალებად, რის გამოც გაუარესდა უსაფრთხოების გარემო ქვეყანაში, რუსეთი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და

მის არჩეულ გზას დემოკრატიისკენ არ ეთანხმება, რეგიონის გარემო გაუარესდა, აქვე ნახსენებია ყარაბაღის და ჩრდილო კავკასიაში არსებული კონფლიქტები, რომელსაც ასევე უარყოფითი გავლენის მოხდენა შუძლია ქვეყანაზე, საქართველოს გარემოს პოზიტიური შესაძლებლობაა ის თუ მოხდება რეგიონში პროცესების მშვიდობიანი განვითარება (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011, გვ.3-4).

შემდეგი ნაწილია ეროვნული ღირებულებები, რომლებიც ორივე დოკუმენტში ერთმანეთის იდენტურია, რასაც მოსდევს ეროვნული ინტერესები, რომელიც ეროვნულ ღირებულებებს ეფუძნება.

ეროვნული ინტერესებიდან პირველია ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, რასაც მოსდევს ეროვნული ერთიანობის და სამოქალაქო თანხმობის უზრუნველყოფა, ორივე მუხლი ორივე დოკუმენტში ერთმანეთის მსგავსია, განსხვავება მხოლოდ ახალ დოკუმენტშია, რომელსაც დამატებული აქვს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებთან კონტაქტების და მათი ინტეგრაციის მნიშვნელობა. შემდეგი მუხლები ორივე დოკუმენტში ერთმანეთის მსგავსია.

2011 წლის დოკუმენტში დამატებულია დიასპორებთან ურთიერთობის დემოგრაფიული, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეკონომიკის სტაბილური გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა, რაც შეეხება რისკებსა და გამოწვევებს 2005 წლის დოკუმენტში ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაში ნახსენებია გარედან ინსპირირებული და მხარდაჭერილი აგრესიული სეპარატისტული მოძრაობები. (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2005, გვ.1) ახალ დოკუმენტში კი ვრცლადაა განხილული რუსეთის ოკუპაცია წლების განმავლობაში, ლაპარაკია ეთნიკურ წმენდასა და ლტოლვილებზე.

განსაკუთრებით საინტერესოა 2005 წლის დოკუმენტის მუხლი 4.3 სადაც ლაპარაკია სამხედრო ინტერვენციაზე, რომელიც ამბობს, რომ ამის რისკი მცირეა, ახალი დოკუმენტი კი პირდაპირ ადანაშაულებს რუსეთს სამხედრო ინტერვენციაში და იმაში რომ მას სურდა დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების დამხობა.

ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებები 2005 წლის კონცეფციაში იწყება სახელმწიფო თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მნიშვნელობაზე საუბრით,

რომელშიც საუბარია ნატო-ს სტანდარტების მიხედვით განვითარებაზე და იმ გამოცდილებაზე, რომელსაც იღებს საქართველო ნატო-ს ოპერაციებში მონაწილეობით (მუხლი 5.2).

კონცეფციის ძველ ვარიანტში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ- „საქართველოს მთავრობის ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით“ დოკუმენტი დაპირისპირების მოგვარების სერიოზულ საფუძვლად აღიქმებოდა (მუხლი 5.3.).

ეს ინიციატივა გულისხმობდა შემდეგს, რომ ოლქს მიეღო ავტონომიის სტატუსი, უარს ამბობდა ძალის გამოყენებაზე. ეყრდნობოდა კულტურული თვითმყოფადობისა და თვითგამორკვევის, თანასწორობის პრინციპულ დაცვას.

რაც შეეხება აფხაზეთს, გაეროს ინიციატივით და გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის (ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, რუსეთის ფედერაცია, საფრანგეთი) უშუალო მონაწილეობით შემუშავებული დოკუმენტი – „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის ძირითადი პრინციპების შესახებ“ არის ჩარჩო, რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთისათვის ფართო უფლებამოსილების და განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას და აფხაზეთის მრავალეროვნული მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფას (მუხლი 5.3).

ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელებულია ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაცია. (მუხლი 5.4.1) ადგილი ეთმობა საგარეო კავშირების განმტკიცებასაც, ამერიკასთან, უკრაინასთან. თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან და რაც ყველაზე საინტერესოა რუსეთის ფედერაციასთან.

საქართველო ესწრაფვის რუსეთთან კეთილმეზობლობის, თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებულ თანამშრომლობას. საქართველო მიესალმება რუსეთის ფედერაციის გარდაქმნას სტაბილურ დემოკრატიულ ქვეყნად, რომელშიც ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა და რომელიც პატივს სცემს ევროპულ

ღირებულებებს. რუსეთის ფედერაციის დემოკრატიზაცია და პროგნოზირებადი საგარეო პოლიტიკა დადებით გავლენას მოახდენს საქართველოს და რეგიონულ უსაფრთხოებაზე.

საქართველო მზად არის გააქტიუროს რუსეთის ფედერაციასთან პოლიტიკური დიალოგი, გააღრმავოს სავაჭრო-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ურთიერთობები და ითანამშრომლოს რეგიონული კონფლიქტების მოსაგვარებლად და ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს მიაჩნია, რომ მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო-ხელშეკრულების დადება ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას. საქართველო კვლავ გამოთქვამს მზადყოფნას, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას.

რუსეთის ფედერაციამ განუხრელად უნდა შეასრულოს მის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის სამიტზე ნაკისრი ვალდებულებები და შეთანხმებულ ვადებში გაიყვანოს თავისი სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიიდან, რაც უდავოდ გააუმჯობესებს ურთიერთობებს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის (მუხლი 5.5.5. პარტნიორობა რუსეთის ფედერაციასთან, გვ.16).

ახალი დოკუმენტის ეს თავი (მიმართულებები) იწყება დეოკუპაციით, საქართველოს ხელისუფლებას სიტუაციის განსამუხტად ერთადერთი გზა ესახება და ეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ჯარების შეცვლაა, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების მიერ, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა. საერთაშორისო თანამეგობრობის მეტი აქტიურობა ამ საკითხთან მიმართებაში, რასაც მოყვება რუსეთთან ურთიერთობა, რომელშიც ვკითხულობთ, რომ საქართველოს მთავრობა დაინტერესებულია რუსეთთან იქონიოს კეთილმეზობლური თანასწორობის პრინციპზე აგებული ურთიერთობა რაც ვერ მოხდება დეოკუპაციის გარეშე და დიალოგის დაწყების გარეშე. (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011, გვ.12-13)

2005 წლის კონცეფციაში საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის მთავარ საფრთხედ დასახელებული იყო დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც გარედან იყო ინსპირირებული თუმცა ვის მიერ ეს მითითებული არაა ახალი

დოკუმენტისგან განსხვავებით. სადაც რუსეთი საქართველოს მთავარი ეროვნული ღირებულებისა და ინტერესის – სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შემლახველ ძირითად საფრთხედ არის დასახელებული (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011).

მეტი სამხედრო რიტორიკის მატერებელი იყო წინა კონცეფციის ტექსტი, „საქართველო მოწოდებულია, აღადგინოს და შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა და უზრუნველყოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობა. საქართველო გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა კანონიერ საშუალებას იმ პრობლემების მშვიდობიანად და სამართლებრივად მოგვარებისთვის, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას საქართველოს ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის დროს.“ მთავარი არგუმენტი საქართველოს ხელისუფლების 2008 წლის ომის დროს.

წინა კონცეფციისგან განსხვავებით, სადაც კავკასიის როლზე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში არაფერი იყო ნათქვამი, ახალ დოკუმენტში ცალკე თავი ეთმობა ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობას და ცალკე – სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან თანამშრომლობას. (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011, გვ 18)

კონცეფცია შედგენილია სხვა მსგავსი დოკუმენტბის მსგავსად, ეროვნული ღირებულებები, ინტეერესები, საფრთხეები გამოწვევები და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებები, თუმცა საინტერესოა რამდენად სწორად ასახავს ის მასში მოცემულ საკითხებს და რამდენად არის შესაძლებელი უსაფრთხოების განსაზღვრა ქვეყნისთვის ამ დოკუმენტის მიხედვით. ამ საკითხის გარშემო ნილ მაკფარლეინმა საკმაოდ ვრცელი დოკუმენტი შექმნა სადაც განიხილა კონცეფციის ძლიერი და სუსტი მხარეები.

პირველი სისუსტე რაც აღნიშნა არის, ის, რომ ხელისუფლების მიერ ძირითად ორიენტირად ევროკავშირსა და ნატოში ორიენტაციაა დასახელებული და გათვალისწინებული არაა შეზღუდვები, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს და რომელსაც მეორე თავში უფრო დეტალურად განვიხილავ, ამ შემთხვევაში საუბარია რუსეთის გაცხადებულ საგარეო პოლიტიკაზე და იმ მოსალოდნელ შედეგებზე რაც

მოყვება საქართველოს ნაბიჯს გახდეს ნატოსწევრი, ამ დაბრკოლებების გააზრება მნიშვნელოვანია რათა არ მოხდეს არარეალური მოლოდინის შექმნა.

მისი აზრით ევროპის და ევრო-ატლანტიკური ქვეყნებისთვის საქართველოს პერიფერიული როლი აქვს, გარდა იმ შემთხვევისა თუ საქართველოში მიმდინარე მოვლენები არ გაართულებს რუსეთთან ურთიერთობას. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მარგინალური როლს ანიჭებს დასავლეთის სტრატეგიულ გათვლებში, აქედან გამომდინარეობს,რომ საქართველოს გაუჭირდება რუსეთის საფრტხის დაბალანსება დასავლეთის გამოყენებით (მაკფარლეინი, 2012, გვ.7).

ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით სისუსტედ მიაჩნია დე ფაქტო ხელისუფლების იგნორი, ხალხთა შორის ურთიერთობებს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხელისუფლება ვიდრე ორ მთავრობას შორის. ზოგადად უცხოელი ექსპერტების დიდი ნაწილი ამ აზრს იზიარებს და მოუწოდებს ხელისუფლებას იქონიოს კავშირი დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, თუმცა რუსეთის ხელისუფლების მიერ დასმულ და მართულ ადამიანებთან ურთიერთობა ტყუილი დროის კარგვაა. 2008 წლის ომამდე საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა გარკვეული ურთიერთობები დე ფაქტო ხელისუფლებებთან თუმცა ომის შემდეგ შეიცვალა ვითარება, რეალურად აფხაზეთის და ოსეთის წარმომადგენლები არ წარმოადგენენ ამ ტერიტორიებს, ისინი წარმოადგენენ რუსეთის მარიონეტებს და შესაბამისად ფუჭია იმაზე ფიქრი, რომ მათთან ურთიერთობა რამე შედეგს მოგვცემს. ჟენევის ფორმატი ამ შემთხვევაში არის ვფიქრობ საუკეთესო საშუალება ურთიერთობისთვის (თურმანიძე, 2019).

რეგიონალური უსაფრთხოების მნიშვნელობა ნაკლებადაა კონცეფციაში წარმოდგენილი, იმ გავლენაზე რაც შესაძლოა იქონიოს რეგიონში მიმდინარე მოვლენებმა საქართველოს უსაფრთხოებაზე. როგორც ჩრდილო ისე სამხრეთ კავკასიაში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთს სურს ჩრდილო კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის, საქართველოს წინააღმდეგ განწყობა. პრიორიტეტებში კი ნახსენებია, რომ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ ხალხთან ურთიერთობის განვითარება და

გაღრმავება. რათა კავკასიაში სტაბილური გარემო შეიქმნას, თუმცა რუსეთის როლი აქ გამოტოვებულია (მაკფარლეინი, 2012).

ასევე მაკფარლეინს არ მოსწონს, რომ კენცეფციაში მხოლოდ რუსეთის ბრალი ჩანს მიმდინარე და წარსულის მოვლენებში, არაა ნაჩვენები საქართველოს მხრიდან გადადგმული ის ნაბიჯები, რომლებსაც შესაძლოა გამოეწვია რუსეთი, არც ის, რომ 70 წლიანი საბჭოთა ოკუპაციის დროს რომ მას ქართველი მართავდა, სამხრეთ ოსეთის მიმართ შეტევის განხორციელება. კონცეფციაში ციტირებულია EUIIFFC-ის ანგარიში, რომლის საშუალებითაც საქართველოც ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსეთმა დაარღვია საერთაშორისო კანონმდებლობა, მაგრამ არ ახსენებს იმ ნაწილს სადაც მის პასუხისმგებლობაზეა საუბარი (მაკფარლეინი, 2012).

ვფიქრობ, მაკფერლაინის შეხედულებები კონცეფციის სისუსტეებთან შედარებით, რომლებიც ეხება იმას, რომ სწორად უნდა შეფასდეს მიმდინარე პოლიტიკური მდგომარეობა სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს რეგიონული და გლობალური პროცესები, რომ არ უნდა მოხდეს არასწორი და არარეალური მოლოდინების შექმნა სწორია, თუმცა ზემოთ ჩამოთვლილ დანარჩენ ნაწილში ვერ დავეთანხმები, არცერთი ქვეყანა თავის უსაფრთხოების დოკუმენტში არ დაწერს იმას, რომ მას ბრალი მიუძღვის იმ მთავარი საფრთხის გამოწვევაში, რომელიც არსებობს, სულ რომ სიმართლეს შეესაბამებოდეს ეს, განსაკუთრებით მაშინ როცა ცდილობს ოკუპაციის ფაქტი იყოს აღიარებული ცივილიზირებული სამყაროს მიერ, ჩემი აზრით ეს ნამდვილად არ იქნებოდა სწორი, გარდა ამისა კონცეფცია არც ისტორიული დოკუმენტი არაა, რომ მაში განხილული იყოს ის საკითხები რაზეც მაკფარლეინი საუბრობს.

ასევე ვეთანხმები იმაში, რომ საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა გადამეტებულადაა შეფასებული ქართული მხარის მიერ, როგორც ენერგეტიკული ისე სამხედრო და ლოჯისტიკური მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვა საქართველოს მთავარი ინტერესისი ანუ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ. საფრთხის მიუხედავად რატომ უნდა მიიღოს ნატომ საქართველო თავის რიგებში, რა შეუძლია მისცეს ალიანსს და რამდენად საკმარისი იქნება ეს გაწევრიანებისთვის?

თავი II

რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები

რუსეთის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების მიმოხილვა მაშინ როცა საუბარი გვაქვს მსგავსი შინაარსის დოკუმენტებზე საქართველოს შემთხვევაში და რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე, აუცილებელია, რადგან შეფასდეს თუ რამდენად შესაბამისია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა ამ საკითხთან მიმართებაში და რამდენად ადეკვატურად პასუხობს მომდინარე საფრთხეებს.

2.1 რუსული საგარეო უსაფრთხოების დოკუმენტების ანალიზი

პირველი ასეთი დოკუმენტია რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინა, რომელიც ბოლოს 2014 წელს განახლდა, მასში ყველაზე მკაფიოდაა საქართველოს საკითხი დასმული და ყველაზე მეტ მუქარას შეიცავს (Военная доктрина Российской Федерации, 2014). თუმცა სანამ უშუალოდ ამ დოკუმენტზე და მის განხილვაზე გადავიდოდე უნდა ვახსენო 2014 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ გააფორმებებული სამოკავშირეო ხელშეკრულებები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან,სტატუსი რომელიც მათ მიიღეს ამ შეთანხმების შემდეგ(მოკავშირე ქვეყნები) შეიძლება ითქვას ზუსტად მოერგო ახალ სამხედრო დოქტრინას. მნიშვნელოვანია ის, რომ ამის შემდეგ გამარტივდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისთვის რუსეთის მქალაქეობის მიღება (Договор между Российской Федерацией и Республикой Абхазия о союзничестве и стратегическом партнерстве. 2014. მუხლი 13.)

ასევე რუსეთსა და მის სტრატეგიულ პარტნიორებს ამ შეთანხმების საფუძველზე ერთიანი შეიარაღებული ძალები ჰყავთ (იქვე, მუხლი5), რომლებიც ნებისმიერი წინასწარი შეთანხმების გარეშე ებმებიან კონლიქტში მოკავშირე ქვეყნების დასაცავად. (იქვე, მუხლი 7,პუნქტი 2).

ზემოთ აღნიშნულს პირდაპირ უკავშირდება დოქტრინაში მოცემული მუხლები იმის შესახებ, რომ რუსეთი იღებს ვალდებულებას დაიცვას თავისი მოქალაქეები რუსეთის საზღვრებს გარეთ, შეიარაღებული ძალების საშუალებით და ამას არც მისცეს საომარი

მოქმედების კვალიფიკაცია (Военная доктрина Российской Федерации, 2014,პუნქტი 22, 32(კ))

რუსეთს სამხედრო აგრესიის გამოყენება შეუძლია მაშინაც, როცა მოკავშირე სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელდება სამხედრო ქმედება (24), თუმცა სამხედრო ქმედების განმარტება ცოტა ბუნდოვანია და იძლევა მანიპულირების საშუალებას, რადგან სამხედრო ქმედებაში ჩაითვლება საქართველოს მთავრობის მიერ ადეკვატური პასუხის გაცემაც რუსეთის მოკავშირე ქვეყნების მიმართ თუკი ისინი მოინდოებენ საზღრების გაფართოებას, 34 მუხლში კი ნახსენებია, რომ რუსეთი იღებს ვალდებულებას დაამარცხოს აგრესორი სახელმწიფო იმ პირობებით, რომელიც მას და მის მოკავშირეების ინტერესებშია.

ამ კუთხით საინტერესოა ასევე მე-12 პუნქტი სადაც ძირითად საგარეო საფრთხეებად დასახელებულია ნატოს მიახლოება რუსეთის საზღვრებთან გაფართოების პრეტენზიით, განსაკუთებით საინტერესოა ამ მუხლის ის პუნქტი სადაც ნახსენებია, რომ რუსეთისთვის საფრთხეა მის მეზობელ ქვეყანაში ისეთი რეჟიმის არსებობა რომელიც მის ინტერესებში არ შედის. ამ შემთხვევაში არამარტო თბილისზეა საუბარი არამედ ვერც აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში ვერ გაჩნდება სურვილი საქართველოსთან კავშირის აღდგენისა რადგან რუსეთის მხრიდან ეს მაშინვე საომარ საფრთხედ აღიქმება.

ასევე თაამედროვე ომის წარმოებად ითვლება როგორც პოლიტიკური ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მხრიდან. (15) მოკავშირე სახელმწიფოებს შიდა საქმეებში ჩარევა.(12,დ)

დოქტრინის მე-15 მუხლში საუბარია თანამედროვე კონფლიქტების თავისებურებებზე, რისგანაც შედგება ჰიბრიდული ომი, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად ახორციელებს და რაც მოიცავს:

საზოგადოებრივი მოძრაობების, პოლიტიკური ჯგუფების დაფინანსებას, როგორც რუსული წყაროებით ასევე მესამე წყაროდან, რომელიც რუსეთის ინტერესების გამტარებელია. მოსახლების, როგორც საპროტესტო იარაღის გამოყენება.

ინფორმაციული და პოლიტიკური ზეწოლა, პროპაგანდის გამოყენებით. გლობალური საინფორმაციო სივრცის მეშვეობით. სანქციები,როგორც ეკონომიკური ისე პოლიტიკური, მუდმივი საომარი ზონის შექმნა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, დაძაბულობის კერების შექმნა და სხვა.

შემდეგი დოკუმენტი არის რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია,(Концепция внешней политики Российской Федерации (утверждена Президентом Российской Федерации В.В.Путиным 30 ноября 2016 г.) რომელიც 2016 წელს განახლდა, სადაც აფხაზეთის რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოებად გარდაქმნის ხელშეწყობა რუსეთის პრიორიტეტია, მათი საერთაშორისო პოზიციების გაძლიერება, საიმედო უსაფრთხოებისა და სოციალურ-ეკონომიკური აღდგენის უზრუნველყოფა. (მუხლი 57)

კონცეფციის მიხედვით რუსეთს სურს შუამავლის როლი ითამაშოს მთელი რიგი კონფლიქტების მოგვარებაში, (დნესტრისპირეთის კონფლიქტი,მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი) თუმცა არა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. (მუხლი 58)

რაც შეეხება საქართველოს, რუსეთი დაინტერესებულია საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზების სამხრეთ კავკასიაში არსებული პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით. (მუხლი 59)

რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია 2014 წელს განახლდა. დოკუმენტი არის საბჭოთა სტილით დაწერილი, არის უფრო ზოგადი, სხვა ქვეყების სტრატგიებს თუ შევადარებთ. (თურმანიძე)

კონკრეტულ მუხლებს უშუალოდ საქართველოსთან მიმართებაში არ შეიცავს თუმცა მე-12 მუხლის მიხედვით, რუსეთის ფედერაციის საზღვრებთან არსებული ძალების ბალანსი შესაძლოა დაირღვეს, ამიტომ პრობლემის გადაჭრის მიზნით სამხედრო ძალის გამოყენებას არ გამორიცხავს. ამ შემთხვევაში რთული მისახვედრი არაა, რომ რუსეთი ნატოს გულისხმობს და მის შესაძლო გაფართოებას, რაც აღნიშნა დოქტრინაში უფრო კონკრეტულად.

ასევე საინტერესოა მე-17 მუხლი, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან ურთიერთობებს განსაზღვრავს. რუსეთი მზად არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან ურთიერთობების გაღრმავებისთვის, თუმცა თანასწორობის პრინციპზე აგებული ურთიერთობების შესაბამისად.

რაც შეეხება ქართულ და რუსულ დოკუმენტებს შორის ასეთ დაპირისპირებას, ესაა უბრალოდ რეალობის ასახვა რუსეთის პოლიტიკა ეწინააღმდეგა ქართულს და შესაბამისად, რუსეთის გაცხადებული პოლიტიკის ნაწილია ის, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები წარმოადგენს მათი გავლენის სფეროებს, ბალტიის პირეთის ქვეყნები საბედნიეროდ გაექცნენ ამ გავლენას, დანარჩენზე რუსეთი კვლავ ფიქრობს გავლენის აღდგენას და მისი ინტერესია ამ ტერიტორიაზე არ იყოს სხვა რომელიმე ქვეყნის თუ კავშირის სამხედრო შენაერთები, ქართული ინტერესი კი პირიქითაა გადარჩენის საშუალებას ხედავს სწორედ ნატოში გაწევრიანებას.

2.2 თანამედროვე ომის საშუალებები

რუსეთის სამხედრო დოქტრინაში ჰიბრიდული ომის მახასიათებლების ასახვა მოხდა 2013 წლის იანვარში ჩატარებული სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის კრების საფუძველზე, სადაც მოხსენება წაიკითხა ვალერი გერასიმოვმა, რუსეთის გენშტაბის უფროსმა, რომელმაც განაცხადა, რომ არასამხედრო მეთოდების როლი პოლიტიკური მიზნების განხორციელების საქმეში გაიზარდა და შეიძლება ითქვას, რომ უფრო დიდი მნიშვნელობაც შეიძინა მისი ეფექტურობიდან გამომდინარე.

ახალი ომის შინაარსზე და მნიშვნელობაზე მოგვიანებით გამოქვეყნდა გენერალ სერგეი ჩეკინოვის და გენერალ სერგეი ბოგდანოვის სტატია, სადაც საუბარი იყო საინფორმაცი ოტექნოლოგიების გავლენაზე მსხვერპლ ქვეყანაში არსებულ ყველა საჯარო დაწესებულებაზე, ასევე მასმედიასა და რელიგიურ, კულტურულ ორგანიზაციებზე, არასამთავრობო სექტორზე. ზემოთ აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა სამხედრო დოქტრინაში და იმდენად ძლიერი გავლენა ქონდა, რომ მას გერასიმოვის დოქტრინასაც უწოდებენ.

„გერასიმოვის დოქტრინაში“ ნოვატორულია რამდენიმე ასპექტი:

- ჰიბრიდული ომის მთავარ სამიზნეს წარმოადგენს მშვიდობიანი მოსახლეობა და არა მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალები.

- საომარი ზონა მოსახლეობაში იქნება და არა ფრონტის წინა ხაზზე.

- ერის ,როგორც ერთობის მთლიანობის მოშლა და გატეხვა.

- მოსახლეობის ტვინის გამორეცხვის ხარჯზე მისი დამორჩილება. (ოთხმეზური, 2018).

რბილი ძალა, როგორც ტერმინი მსოფლიო პოლიტიკურ კულტურაში 80-იანი წლებში შემოვიდა, ესაა ერთგვარი კომპლექსური მიდგომა მიზნის მისაღწევად, როდესაც გამოყენებულია არაძალადობრივი მეთოდები. „რბილი ძალის“ განმარტება შეიძლება ფორმულირებული იყოს შემდეგნაირად - ეს არის კულტურის, განათლების, ნიჭიერი დიპლომატიის, მოლაპარაკებების დროს ლოგიკურად დასაბუთებული არგუმენტების, სპორტული წარმატებების, ტექნიკური მიღწევებისა და სხვა მსგავსი სფეროების მიმზიდველობა, რაც მიზნად ისახავს მაგალითის საფუძველზე სხვის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენას. ამაში მდგომარეობს რბილი გავლენის ძალა, მისი ეფექტურობა და გრძელვადიანი შედეგების არსებობის შესაძლებლობა. რა თქმა უნდა „რბილი ძალა“ არ გამორიცხავს „ხისტ ძალას“, რომელიც კვლავ ნარჩუნდება, როგორც „უკანასკნელი არგუმენტი“. მაგრამ ზოგჯერ „რბილი ძალა“ არის უფრო ძლიერი იარაღი, ვიდრე სამხედრო ზემოქმედება (პეტრიაშვილი, 2018).

ტერმინის (რბილი ძალა) განმარტებას სამეცნიერო ლიტერატურაში ჯოზეფ ნაი გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც რბილი ძალა არის უნარი და რესურსი, რომელიც გააჩნია სახელმწიფოს, იმისთვის, რომ შექმნას დადებითი დამოკიდებულებები კონკრეტულ აქტორებზე. პოლიტიკური მიზნების რეალიზება ძალის გამოყენების გარეშე. გამოყოფს სამ ძირითად კომპონენტს, რომელსაც ეფუძნება რბილი ძალა.

- კულტურა.

- პოლიტიკური ღირებულებები

- საგარეო პოლიტიკა (JR, 2006)

რუსული რბილი ძალის ინსტრუმენტებად საქართველოში შეიძლება გამოიყოს შემდეგი განზომილებები:

- იდეოლოგიურ-პოლიტიკური განზომილება

ეს განზომილება უნივერსალურია, რაც რუსეთის შემთხვევაში ტრადიციონალიზმში გამოიხატა, ტრადიციული ღირებულებების დაცვა გამოძახილს პოულობს როგორც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ასევე დასავლეთშიც, რაც განპირობებბულია იდეოლოგიისა და ფინანსების კომბინაციით, რის საშუალებითაც რუსეთმა გაიჩინა მოკავშირეები ევროპაში, საქართველოში კი ანტიდასავლური განწყობების მატარებელი ადამიანები.

- რელიგია

რუსული ეკლესია ყოველთვის რუსული სახელმწიფოს იდეოლოგიის მატარებელი იყო და არის, რუსული ტრადიციონალისტური და ანტილიბერალური შეხედულებების გამავრცელებელიც, მაშინ როცა რუსულ და ქართულ საპატრიარქოებს შორის კავშირი დიდია და ქართული ეკლესია მოსახლეების დიდი ნდობით სარგებლობს, ამ განზომილების გავლენა იკვეთება, თუმცა არც ქართულ ეკლესიაში არაა ერთნაირი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ და შესაბამისად ეს გავლენაც ძალიან დიდი არაა.

- ეკონომიკური გავლენა

ეკონომიკა გავლენის მოპოვების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რუსეთი ენერგორესურსების საშუალებით კარგად ახერხებს ამ ბერკეტის გამოყენებას, იმის მიუხედავად, რომ ქართული პროდუქციის ნაწილი დაბრუნდა რუსულ ბაზარზე, ჩვენს ეკონომიკას ეს გამოუსწორებე ზარალს ვერ მიაყენებს. (კანაშვილი, რუსეთის რბილი ძალის პოტენციალი საქართველოში, 2015)

- ეთნიკური უმცირესობები

უკმაყოფილება ცენტრის მიმართ კარგი მიზეზია დაპირისპირების გამოწვევის, საქართველოსთვის ეს უცხო არაა, არაკონფლიქტურ რეგიონებშიც კი რუსეთის გავლენა საკმაოდ დიდია, სადაც რუსული არხები და პროპაგანდა თავისუფლად მუშაობს, ესეც რა თქმა უნდა საფრთხის მატარებელია და გარკვეული ზომები უნდა მიიღოს ხელისუფლებამ იმისთვის, რომ აღარ მოხდეს მსგავსი დაპირისპირებები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსაღნიშნავია ის რეგიონები სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ, რუსული სახელმწიფო ტელევიზიები აქ განსაკუთრებით პოპულარულია. მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ქართულ ენაზე ინფორმაციას ვერ იღებს. (რუსეთის ხისტი და რბილი ძალა საქართველოში, 2016)

- პარტიები, მედია, არასამთავრობოები

2012 წლის შემდეგ, პრორუსულ მედიასაშუალებებს, პარტიებს, ორგანიზაციებს მიეცათ თავისუფლად მოქმედების საშუალება, რამაც გაზარდა ანტიდასავლური განწყობები. (კანაშვილი,2015)

საქართველოში გავრცელდა აზრი, იმის თაობაზე, რომ დასავლეთი ზნეობრივ ხრწნას განიცდის, ტრადიციული კულტურის ქვეყანაში პუტინის, როგორც ძლიერი ,გაბედული ლიდერის იმიჯი ხელს უწყობს იმას, რომ მისი ფიგურა აღქმული იყოს, როგორც ტრადიციების და კულტურის დამცველი დასავლური მანკიერებებისგან.

ამის მიუხედავად, რომ რუსეთი ყველანაირად ცდილობს გამოიყენოს ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებები გავლენის გასაზრდელად, არსებობს მთელი რიგი ფაქტორები რაც ამ მიზნის განხორციელებაში მას წინ ეღობება. პირველ რიგში ესაა 2008 წლის ომი, მძიმე შედეგები რაც ომმა დაუტოვა საქართველოს, დევნილები, მცოცავი ოკუპაცია, რუსეთის პოლიტიკა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. ზოგადად ოკუპაციის ფაქტი. გარდა ამისა მედია საშუალებები, პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ყოველდღიურად ავრცელებენ რუსეთის მხრიდან საფრთხის შემცველ ინფორმაციას, რაც ხელს უშლის რუსეთს პოზიტიურ აღქმას საზოგადოების დიდ ნაწილში.

მეორე შეზღუდვად დასახელებულია რუსეთის დაბალი კონკურენტუნარიანობა. ამერიკის, ევროკავშირის მიერ დახარჯული რესურსები საქართველოში, როგორც პოლიტიკური ისე ინტელექტუალური გაცილებით მეტია.

თუმცა არსებობს კატეგორია ვიზეც მოქმედებს რუსული პროპაგანდა, ძირითადად ხანდაზმულ ადამიანებში ვისაც ენობრივი, ისტორიული სიახლოვე აკავშირებს რუსეთთან. ამ შეზღუდვების გარდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც დასავლეთი უფრო მიმზიდველია საზოგადოებისთვის (კანაშვილი, 2017).

ხელისშემშლელი ფაქტორების მიუხედავად, საქართველოში 2017 წელს მიიღეს ოფიციალური დოკუმენტი ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის 2017-2020 წლებისთვის, სადაც მოხდა ოფიციალურად რბილი ძალის საფრთხის დაფიქსირება. სადაც წერია, რომ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას რუსეთი მიზან მიმართულად უშლის ხელს.(გვ.1-2)

ასევე რბილ ძალაზე საუბრობს 2017-2020 წლების თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი, სადაც რბილი ძალის მოქმედება საქართველოში უსაფრთხოების მთავარ გამოწვევადაა დასახელებული. თუ როგორია პროპაგანდის გავლენა საქართველოში ამას კარგად ასახავს ევროპის ფონდის მიერ 2017 წელს ჩატრებული კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობაში ევროკავშირის შესახებ ცოდნისა და მისდამი დამოკიდებულებების შესწავლას. ზემოთ აღნიშნული მიმართულებით საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის 26% ფიქრობს, რომ ევრიკავშირთან სიახლოვე შეამცირებს ქართული ტრადიციების პატივისცემას, პირიქით კი ფიქრობს 25 %. ასევე 68 % ფიქრობს, რომ ევროკავშირთან სიახლოვე რუსეთთან ურთიერთობას დაძაბავს, მაგრამ ეს მოლოდინი ქართულენოვან მოსახლეობაში უფრო დიდია, ვიდრე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში, აქ ამის პროცენტული მაჩვენებელი 41 %-ია, ქართულენოვანში 71 %.

მოსახლეობის უმეტესობას საფრთხის თავიდან აცილების გარანტიად ნატოში გაწევრიანება მიაჩნია, 31 %, ევროკავშირში 11 %, მთავარ საფრთხედ რუსული სამხედრო აგრესია 31%, ოკუპაცია 11%, რუსული პროპაგანდა კი 10% (NDI, 2019). დანართი 1.

რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებთან მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის, უსაფრთხოების, თავდაცვის კუთხით აუცილებელია კომპლექსური დოკუმენტის შექმნა. რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა ინსტიტუტების კოორდინირებულ ქმედებას, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია აქ საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა. 2011 წლის შემდგომ ბევრი რამ შეიცვალა, აუცილებელია ამ ცვლილებების ასახვა ახალ დოკუმენტში.

რუსეთი ცდილობს ქართულ მოსახლეობაში გაავრცელოს აზრი იმის შესახებ, რომ ნატოში არ მიგვიღებენ, და თუ მიგვიღებენ კიდევ უარესი კონფლიქტი გელით, აშინებს ამით. უბრალოდ ფრთხილად უნდა ვიყოთ ამ პოლიტიკის გატარებისას სხვა შემთხვევაში ჩვენ ერთი ერთზე ვრჩებით რუსეთთან, დარჩა ნოე ჯორდანიას მთავრობა რუსეთთან მარტო და რა მოხდა ვიცით, ზოგადად რუსეთისთვის დოკუმენტები ბევრს აარაფერს წარმოადგენს, რუსეთი რაც უნდა იმას გააკეთებს, ზედმეტი საბაბი რუსებს არ უნდა მივცეთ მაგრამ პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოება კოლექტიურ უსაფრთხოებაშია, რუსებს რაც უწერიათ არის ტყულილ,კარგი ურთიერთობა აქვს მაგალითად გერმანიასთან, ბალტიის ქვეყნები კარგად არიან, კონტროლის აღდგენას ვეღარ შეძლებს საქართველოზე ესაა პრობლემა თორე ისე ნატოში წევრობა არაა უბრალოდ ხელშეკრულება ამას ვერ დახევ და გადააგდებ, ტესტავენ რა გამოუვათ და რა არა. რეალური მუქარა არაა, გაწევრიანების პროცესში უნდა ვიყოთ ფრთხილად. (კუხიანიძე, 2019)

თემასთან მიმართებაში განსახილველად საინტერესოა ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია სადაც საუბარია რუსეთზე, რომელიც ეგზისტენციალურ საფრთხედ არის აღქმული. დოკუმენტი რუსეთს ამხელს იმაში, რომ მას სურს დიდი ძლიერი სახელმწიფოს, (Great Power) სტატუსი და შექმნას გავლენის სფეროები საზღვრებთან ახლოს. მისი მიზანი კი ამერიკის შესუსტებაა, მისი გავლენის,

მოკავშირეების და პარტნიორების ჩამოცილების ხარჯზე. მისი ამბიციები და სამხედრო ძალა ქმნის არასტაბილურ გარემოს რეგიონში.

საქართველო და უკრაინა ნახსენებია ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში, რუსეთის მხრიდან აგრესიის კონტექსტში.

„საქართველოსა და უკრაინაში შეჭრით, რუსეთმა მოახდინა დემონსტრაცია თავისივე სურვილის – ხელყოს სახელმწიფოთა სუვერენიტეტი რეგიონში. რუსეთი განაგრძობს მეზობლების დაშინებას მუქარით, ბირთვული და სხვა თავდასხმითი შესაძლებლობების განთავსებით“. (ეუს, 47, 2017)

მსგავს კონტექსტში საქართველო ობამას დროინდელ დოკუმენტში მოხსენიებული არ ყოფილა. არაა ნახსენები 2010 წლის დოკუმენტში, 2015 წლის დოკუმენტშიც არაა ხსენებული, რომ რუსეთმა დაარღვია მისი ტერიტორიული მთლიანობა (ლეჟავა, 2018).

2.3. აზერბაიჯანის, სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები და რუსეთი

სამხრეთ კავკასიის რეგიონი მრავალი გადაუწყვეტელი კონფლიქტით ხასიათდება, თითოეული ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკამ შესაძლოა დიდი გავლენა მოახდინოს მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებაზე . ჯერ კიდევ 90-იან წლებში, როცა მსჯელობა მიდიოდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შექმნის შესახებ, გაჩნდა აზრი იმის თაობაზე, რომ კავკასიის ქვეყნებს შეეძლოთ ერთად მოეხდინათ რუსეთის ძალის ნორმალიზება რეგონში.

საბჭოთა კავშირის დაშლისას ეროვნული უსაფრთხოების ხედვა ძირითადად განისაზღვრებოდა პოზიციების შენარჩუნებით კონფლიქტურ რეგიონებში, როგორებიცაა სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტები. მომდევნო ათწლეულში სამხრეთ კავკასიის თითოეულმა ქვეყანამ განიცადა მნიშვნელოვანი სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმები, დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად გაძლიერდა ურთიერთობები დასავლეთთან, ამ ქვეყნებმა გააცნობიერეს, რომ აუცილებელი იყო, სახელმწიფო მმართველობისა და საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების სტრატეგიული დაგეგმვა, რისთვისაც აუცილებელი იყო ახალი

სტრატეგიული-პოლიტიკური დოკუმენტების ჩამოყალიბება, რომლებიც, უსაფრთხოების ინტერესების, პრიორიტეტების, რისკების და საფრთხეების, სამომავლო ხედვების კონცეპტუალიზება იქნებოდა დასავლეთის სპეციალიზებული უსაფრთხოების ინსტიტუტების გარკვეული მეთოდოლოგიური რეკომენდაციების შესაბამისად. 2005 და 2007 წლებში საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა შექმნეს და შემდგომში გაავრცელეს ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტები.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია დამტკიცებულია 2007 წლის 23 მაისს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის № 2198 ინსტრუქციით.

სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია 2007 სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია. სომხეთის რესპუბლიკის ოფიციალური ბიულეტენი. 2007.02.15 / 11 (535). ერევანი.

ამ დოკუმენტების მიღება დაემთხვა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ევრო-ატლანტიკური ინსტიტუტების ინტერესების გაზრდას და ნატო-სთან თანამშრომლობის გაღრმავების პროცესს. შედეგად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების NSD- ები დაიბადა ფართო პოლიტიკური კონსულტაციების, მიმოხილვების შედეგად სხვადასხვა შიდა და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეთა შორის.

სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია რუსეთთან მიმართებაში რამდენიმე პუნქტს შეიცას პირველი ასეთია 1.1. ВОЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЕ СОСТАВЛЯЮЩИЕ ВНЕШНЕЙ БЕЗОПАСНОСТИ სადაც წერია, რომ სომხეთის სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოების მთავარი კომპონენტია რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობა თავდაცვის საკითხებში, რუსული ჯარის კავკასიაში ყოფნა კი სომხეთის უსაფრთხოებისთვის მნიშნელოვანია, გამოკვეთილია მისი როლი ყარაბაღის კონფლიქტში (1.3)

აზერბაიჯანთანაც დაახლოებით იგივე მდგომარეობა გვაქვს, რუსეთი განხილულია მის პარტნიორად, ორივე შემთხვევაში რუსეთთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია სტრატეგიული და რეგიონალური კეთილდღეობისთვის. მსგავსი მიდგომა ამ დოკუმენტებში გასაკვირი არაა თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 2005 წელს

შექმნილი ანალოგიური ქართული დოკუმენტის დაახლოებით იგივეს ამბობს რუსეთთან მიმართებაში.

დასკვნა

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, არის ძალიან მნიშნელოვანი დოკუმენტი, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, რადგან ეს დოკუმენტი განსაზღვრავს, ძირითად მუქარებს და გამოწვევებს, ეს არაა მხოლოდ იურისტების მიერ დაწერილი დოკუმენტი, არამედ მასში მონაწილეობენ სოციოლოგები, პოლიტოლოგები, იურისტები, სამხედრო სპეციალისტები, დოკუმენტი თანხმდება პარლამენტთან და ამის შემდეგ ის გადაეცემათ იურისტებს, რომლებსაც გადააქვთ ის იურიდიულ ენაზე, ამ დოკუმენტზე დაყრდნობით იქმნება სამოქმედო გეგმა. საიდანაც ხელმძღვანელობს სხვადასხვა უწყება, შესაბამისად თუ ასეთი დოკუმენტი არ არსებობს სახელმწიფო ვერც მიიღებს შესაბამის ზომებს ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერებისთვის.

საქართველოში უსაფრთხოების კონცეფციის შექმნა 90-იან წლებში დაიგეგმა, უსაფრთხოების საკითხებზე ქართველი და უცხოელი სპეციალისტები ერთად მსჯელობდნენ, მაშინვე გამოიკვეთა აზრი იმის შესახებ, რომ ქვეყნის უსაფრთხოებას მხოლოდ ერთი უწყება ვერ გადაწყვეტს და უსაფრთხოების კონცეფციაც არაა, მხოლოდ სამხედრო საკითხთთა ჩამონათვალი, არამედ მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, სამოქალაქო საკითხებს.

ჯერ კიდევ დოკუმენტზე მსჯელობისას გამოიკვეთა აზრი იმის თაობაზე, რომ ქართული პოლიტიკური ცნობიერება რუსეთს მტრად აღიქვამდა და აღიქვამს ახლაც. ჩვენი პოლიტიკური არჩევანი ამ საფრთხის გაცნობიერებით განისაზღვრებოდა. რუსეთიდან მომდინარე საფრთხე ყოველთვის აბნევდა ქართულ პოლიტიკურ ელიტას, თუ რა მეთოდით გამკლავებოდა ამ გამოწვევას.

გია ნოდიას მიერ შექმნილ უსაფრთხოების კონცეფციის პროექტში არაერთი საფრთხე დასახელდა, რომელიც რუსეთიდან მომდინარეობდა და რომლებიც მხოლოდ

უარყოფითი რეალიების ჭრილში იყო განხილული, რეალურ საფრთხედ რუსეთი წინამდებარე დოკუმენტში დასახელებული პირდაპირ არ ყოფილა და პრიორიტეტულ ამოცანებში რუსეთთან კეთილმეზობლური და მრავალმხრივი ურთიერთობის დამყარება იყო მოყვანილი.

არც 2005 წელს შექმნილ დოკუმენტში იყო რუსეთი საფრთხედ დასახელებული, ნახსენებია მხოლოდ გარე ძალების მიერ პროვოცირებული შიდა კონფლიქტების პერიოდი. რუსეთთან სტრატეგიულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობას ცალკე მუხლიც მიეძღვნა, რადგან მისგან რეალური ინტერვენციის საფრთხე არარეალურად იყო მიჩნეული, თუმცა ყველაფერი შეიცვალა 2008 წლის ომის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ახალი კონცეფცია მთლიანად მორგებულია რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება შეიცვალა 2012 წელს ქართული ოცნების ხელისუფლებამ ვერ შეიმუშავა ახალი დოკუმენტი, წლები ისე გავიდა, რომ ხელისუფლებას ახალი დოკუმენტი არ დაუდია, ამიტომ გვაქვს ანომალიური ვითარება, ანუ მოქმედმა ხელისუფლებამ დატოვა იგივე რაც ქონდა წინა ხელისუფლებას თან საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, როცა შეიძლება ითქვას, რომ დოკუმენტი განახლებას დაახლოებით 4 წელიწადში ერთხელ საჭიროებს, მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში კონცეფცია იცვლება ახალ მთავრობასთან ერთად, შესაძლოა მეორე ვადით არჩეულმა ხელისუფლებამაც კი შეცვალოს კონცეფცია და სტრატეგია, რათქმა უნდა ეს დამოკიდებულია მიმდინარე საერთაშორისო მდგომარეობაზე.

თავმოუბმელობა და არაეფექტიანობა არის იმის მიზეზი, რომ ახალი ხელისუფლება არ ქმნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, ასევე კოორდინაციის ნაკლებობა, თავდაპირველად შეიძლება ითქვას, რომ ამის მიზეზი იყო პრეზიდენტ მარგველაშვილსა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირება, რამაც ხელი შეუშალა ამ პროცესს, უწყებრივი გაუგებრობები, ვის რა უნდა ეკეთებინა ვერ იგებდნენ, იცვლებოდა პრემიერები, მეორე მიზეზი კი ისაა, რომ ეს ხელისუფლება აშკარად ცდილობს შეცვალოს პოლიტიკა რუსეთის მიმართ.

შერბილდა პოლიტიკა, რაც უნდა ასახულიყო ახალ კონცეფციაში, მაგრამ შეიძლება ითქვას რომ ხელისუფლებამ თავი არ აიტკივა და მოერიდა საზოგადოების გაღიზიანებას ტექსტის შეცვლით, ვინაა პასუხისმგებელი ახალი კონცეფციის შექმნაზე ამაზე პასუხის გაცემა რთულია რადგან ეს არაა მხოლოდ ერთი უწყების და მხოლოდ ერთი ადამიანის გადასაწყვეტი საქმე.

დოკუმენტის შექმნა არის ძალიან რთული სწორედ იმიტომ, რომ ამ საქმეში ძალიან ბევრი უწყებაა ჩრთული და კონსესუსის პოვნა გარკვეულ საკითხებში საკმაოდ რთულია, ამ კონცეფციაზე მუშაობა დაახლოებით სამი წლის მანძილზე მიდიოდა, რაღაც ხარვეზები შეიძლება იყოს კონცეფციაში თუმცა იმ პერიოდის გათვალისწინებით როცა ის იწერებოდა აქტიურად და ეს ხდებოდა 2009- 2010 წლებში, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს რომ ხისტი სახე აქვს უფრო, თუმცა რა თქმა უნდა დოკუმენტს აქვს ის სფეციფიკა, რომ საფრთხეები იცვლება და ეს ცვლილებები ასახული უნდა იყოს მასში, ქართულ სინამდვილეში აუცილებელია ახალი კონცეფციის შექმნა და ახალი საფრთხეების ჩაწერა მასში, მაგალითად იგივე მცოცავი ოკუპაცია, ჰიბრიდული ომი. ბუნებრივია დღევანდელი გადმოსახედიდან კონცეფციაში რაღაცეები არ მოგვწონს და მოძველებულად გვეჩვენება თუმცა ეს ასეც უნდა იყოს.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nana Kasradze

“Russia In National Security Concept Of Georgia”

Political Science

Master thesis is prepared to obtain master degree in Political Science

Course Supervisor: Doctor of political science

Associate Professor: Malkhaz Matsaberidze

Tbilisi

2019

დანართი 1.

ეროვნული უსაფრთხოების საფრთხეები და გარანტიები

უსაფრთხოების გარანტიები	საფრთხეები
ნატოში გაწევრიანება 28%	რუსული სამხედრო აგრესია 31%
ევროკავშირში გაწევრიანება 11%	ოკუპაცია 11%
ძლიერ,ერთპიროვნული ლიდერი 11%	რუსული პროპაგანდა 10%
საკუთარი ძალებით თავდაცვისუნარიანობის ზრდა 9 %	ტერორიზმი 4%
საქართველოში დემოკრატიის გაძლიერება 6%	სხვა 16%
სხვა 16 %	არცერთი 6 %
არცერთი 5%	არ ვიცი 16 %
არ ვიცი/უარი პასუხზე 14 %	უარი პასუხზე 3 %

დანართი 2.

1. რა ადგილი უკავია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, როგორც დოკუმენტს, ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრაში?
2. რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან დოკუმენტში წარმოდგენილი მიმართულებები და საფრთხეები?
3. რუსეთის საგარეო უსაფრთხოების დოკუმენტში წერია, რომ ნატოს გაფართოება მის სააზღვრებთან არის საომარი საფრთხე, რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?
4. თქვენი აზრით რა ხარვეზები აქვს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას?

გამოყენებული ლიტერატურა:

(NDI), დ. კ. (2019). *საზოგადოების განწყობა საქართველოში.* თბილისი: NDI.

JR, J. S. (2006 წლის 23 თებერვალი). Think Again: Soft Powe.

R.D. Hooker, J. (2014). *The Grand Strategy of the United States.* Washington, D.C: National Defense University Press.

Snider, D. M. (1995). *STRATEGY, THE NATIONAL SECURITY.* Research Strategic Studies Institute.

ანთაძე, გ. (2013). *საქართველოს სტრატეგიული დილემა.* თბილისი: აიბი ევრო-კავკასიური უნივერისტეტი.

გვალია, გ. (2008). *ძალთა წონასწორობა თუ საფრთხის წონასწორობა.* თბილისი: ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია.

გვალია, გ. (2013). *როგორ ირჩევენ პატარა ქვეყნები სტრატეგიულ მოკავშირეებს? დაბალანსების და მიტმასნების სტრატეგიები სამხრეთ კავკასიის რეგიონში.* თბილსი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თურმანიძე, თ. (2019 წლის 5 ივლისი). ეროვნული უასაფრთხოების კონცეფცია. (ნ. კასრაძე, ინტევიუერი)

იურინი, ა. (2016 წლის 14 ივნისი). *უსაფრთხოების კონცეფციის გააზრებისთვის: ვინ და როგორ განსაზღვრავს საფრთხეს დღეს?* დაბრუნებული 2019 წლის 24 ივნისი, REGIONAL DIALOGUE: http://regional-dialogue.com/security-2/?fbclid=IwAR0jfD53fitUptDyVfCNyTtOeD7Ux48mA42506mQMdD72i6JJ2m0tNdkWJc-დან

კანაშვილი, გ. (2015 წლის 1 მაისი). რუსეთის რბილი ძალის პოტენციალი საქართველოში. თბილისი, საქართველო.

კანაშვილი, გ. (2017 წლის 16 ოქტომბერი). რუსული რბილი ძალა საქართველოში: შედეგები, შეზღუდვები და სამომავლო საფრთხეები. თბილისი, საქართველო.

კუხიანიძე, ა. (2019 წლის 1 ივლისი). ეროვნული უასაფრთხოების კონცეფცია. (ნ. კასრაძე, ინტერვიუერი)

კნუტსენი, ო. (1991). პატარა ქვეყნები . *პოლიტიკა*, 22-26.

ლეჟავა, ლ. (2018 წლის 30 მაისი). აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის. თბილისი, საქართველო.

მაკფარლეინი, ნ. (2012). *საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

მაცაბერიძე, მ. (1992). პატარა სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოების ზოგიერთი თეორიული საკითხი. *მხედარი*, 18-19.

ნოდია, გ. (1996). საერთაშორისო კონფერენციის მასალები. გ. ნოდია-ში, *საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განვითარება.* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

ოთხმეზური, გ. (2018 წლის 11 დეკემბერი). ჰიბრდიული თუ უბრალოდ ომი? თბილისი, საქართველო.

პეტრიაშვილი, კ. (2018 წლის 1 თებერვალი). "რბილი ძალის" ფაქტორები რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. თბილისი, საქართველო.

რონდელი, ა. (2003). *საერთაშორისო ურთიერთობები.* თბილისი: ნეკერი.

(2016). *რუსეთის ხისტი და რბილი ძალა საქართველოში.* თბილისი: თბილისის ლიბერალური აკადემია.

ფონდი, ე. (2017). *ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცონდნის შეფასება .* თბილისი: ევროპის ფონდი.

დადგენილებები და დოკუმენტები:

ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემმუშავებელი კომისიის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #551. 23 აგვისტო, 1996 წ.

http://www.iccn.ge/files/state_commission_on_national_security_concept_of_georgia_23_august__1996.pdf

ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემმუშავებელი კომისიის პირველის სხდომის დღის წესრიგი და გეგმა. 25 აგვისტო, 1996 წ

http://www.iccn.ge/files/state_commission_on_nsc_of_georgia_1st_meeting_august__1996.pdf

2011 წელი: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია; საქართველოს პარლამენტი

http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx

2005 წელი: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0

ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის 2017-2020 წლებისთვის

https://matsne.gov.ge/ka/document/view/3650131?publication=0

Военная доктрина Российской Федерации 2014

https://rg.ru/2014/12/30/doktrina-dok.html?fbclid=IwAR1TUj8LPnyKxznPiPivFoFGetCUjD4JUf5pLkQWTNcTtP39w1WHfM31BOM

Концепция внешней политики Российской Федерации (утверждена Президентом Российской Федерации В.В.Путиным 30 ноября 2016 г.

http://www.mid.ru/foreign_policy/official_documents/-/asset_publisher/CptICkB6BZ29/content/id/2542248

Концепция безопасности РФ 2014

http://yarpatriot.ru/info/zakonodatelnye-akty/kontseptsiya-bezopasnosti-rf/

REPUBLIC OF ARMENIA NATIONAL SECURITY STRATEGY (approved at the session of National Security Council at the RA President office on January 26, 2007)

chrome-extension://oemmndcbldboiebfnladdacbdfmadadm/https://www.mfa.am/filemanager/Statics/Doctrineeng.pdf

NATIONAL SECURITY CONCEPT OF THE REPUBLIC OF AZERBAIJANApproved by Instruction No. 2198 of the President of the Republic of Azerbaijanon 23 May 2007

chrome-extension://oemmndcbldboiebfnladdacbdfmadadm/https://www.files.ethz.ch/isn/154917/Azerbaijan2007.pdf